[illegible]

ქართული საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რკინის გზებზე 60 კაპ.

№ 385 1918 წ. შაბათი ნოემბრის 16. № 385

ტფილისს ჩამოვიდა ბათომიდან ინგლისელთა მისია, რომელიც ხუთი კაცისაგან შესდგება. მოსკოვის ცნობით რუმინიამ გერმანიას ომი გამოუცხადა. სტამბოლიდან ჩამოვიდა საქ. დელეგაციის წევრი გ. გვაზავა. კერძო ცნობით ბოსფორიდან ბათომისკენ ინგლისელთა 6 კრეისერი წამოსულა. გერმანიამი ყველა უკმაყოფილოა ზავის პირობებით.

ღრმად დამწუხრებული იოსებ ზაქარიას ძე ქურდიანი აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 12 ს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეუღლე მისი

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანისა

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ანჩისხატის ქუჩა № 5, დაკრძალვა მოხდება კვირას, ნოემბრის 17-ს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე, ხოლო გამოსვენება ანჩისხატის ტაძარში დილის 10 საათზედ. 2385

თავზარ დაცემული მიხეილ ალექსანდრეს ძე მოლოდინი, თვისი მეუღლე თამარ იოსებ კორინთელის ასულით უზომო მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 12-ს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა პირველისა უსაყვარლესი და მანუგეშებელი და, ხოლო მეორისა სიყვარულით ალსავსე და დაუვიწყარი მული

ნინო ალექსანდრეს ასული ქურდიანი

პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე, ანჩისხატის ქუჩა № 5, გამოსვენება კვირას, ნოემბრის 17-ს, ანჩისხატის ტაძარში, დილის 10 საათ. 2385

ნადეჟდა მიხეილის ასული დალაქიშვილისა და თებრო ქუმსიევისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი რძლის

ნინო ალექსანდრეს ასულ ქურდიანის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 5 საათზედ საკუთარ ბინაზედ (ანჩისხატის ქუჩა № 5), წირვა და პანაშვიდი კვირას გიორგობისთვის 17-ს. 2394

ღრმად დამწუხრებულნი და გულდათუთქულნი: დედა ნინო როსტომის ასული ბერიძისა, დები: ქრისტინა, აგრაფინა, ქეთო, ბაბო, და კუკუნია, ძმები: თეოფილე, მიშა და ტიტო ულრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ვერაგულად მოკლულ პორუჩიკის

კოტე (კონსტანტინე) ბერიძის

პანაშვიდი ყოველ დღე. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, ნოემბრის 19-ს ახალი სტილით დღის 4 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე. გამოსვენება მის საკუთარ ბინიდან დიდუბე, გორის ქუჩა № 22. 9397

ღრმად დამწუხრებულნი პაჭუ და ცუნუ ჟორდანიები, გოგოლა გოთუასი, ევლამპია და ვერიჩკა ჟორდანიასი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი მამის და უკანასკნელნი სიმამრის და ბაბუას

ლევანუხუ მეკარდენის ძე ჟორდანიას

გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება დღეს ნოემბრის 16 წმ. გიორგის ეკლესიაზე ქ. ლანჩხუთში. 2389.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ბესარიონ და ალათი, დები: ნინო, ანიჩკა, მარიამი, ვერა, ნეოლინა, დომნა და ქეთო; სიძენი: კოსტა ვაშაკიძე, დიმიტრი კაკაბიძე და ევგენი დევიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალაქ კიევში კომერციულ ინსტიტუტის სტუდენტი

ვანიკო ბესარიონის ძე ვაშაკიძე,

რომლის გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული გარდაცვალების კიევიდან ჩამოსვენებისას 2392

ღრმად დამწუხრებული მშობლები მინადორა გრიგოლის ასული და ერმილე ალექსის ძე ლოლუა, აღმზრდელი მამიდა ათინა ალექსი ლოლუას ასული, ძმები: ლეონ (გურხუტი) ბონდო, შოთა, დები: ნადეჟდა, ფუცა, ნინო და რძალი ქსენია მიხეილის ასული ლოლუები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ მათი უძვირფასესი და მარად დაუვიწყარი

მარგარიტა ალექსანდრას

გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შესრულების გამო, შაბათს, ნოემბრის 17-ს (ახ. სტ.) გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ს. ქვალონის მეორე წმიდა გიორგის ეკლესიაში. 2396

ნოემბრის 17-ს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ეკატერინე სოლომონის ასულის ანდრონიკაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რძალი მისი მარიამ დომინიკეს-ასული ანდრონიკაშვილისა და შვილისშვილები: სოლომონ მეუღლითურთ მარიამი და ზაქარია მიხეილის ძენი ანდრონიკაშვილები. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. 2398

გაუბედურებული ქვრივი მარიამ კაციას ასული წერეთლისა შვილებითურთ აუწყებს ნაცნობთ და მეგობართ გარდაცვალებას მის ძვირფას მეუღლის და მამის

შალვა სვიმონის ძე წერეთლისას

გასვენება მოხდება ნოემბრის 19-ს, დღით სამშაბათს ნაშუადღევის 4 საათზე დ. საჩხერეში თავის საკუთარ სახლიდან. დაკრძალვა მოხდება საგვარეულო სასაფლაოზე.

დიმიტრი სიმონის ძე მეუღლე ოლღა და შვილები: სამსონ და ნელი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ გარდაცვალებას პირველნი ძმის, მეორენი მაზლისა და დანარჩენები ბიძის

შალვა სვიმონის ძე წერეთლისას

გამოსვენება მოხდება ნოემბრის 19-ს, სამშაბათს, ნაშუადღევის 4 საათზე, დ. საჩხერეში თავის საკუთარ სახლიდან დაკრძალვა მოხდება საგვარეულო სასაფლაოზე.

პ. ი. ზუბალაშვილის სახ. სახ. სახლი

სახ. სახლ. არხ. ქართ. წარმ. მმართ. წრე.

კვირას, 1918 წ. ნოემბრის 17-ს. წარმოდგენილი იქნება:

„იმედის დაღუპვა"

დრამა ოთხ მოქმედებად, ჰაერმანსისა, თარგ. დ. მესხისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ს. ანკარა, ვ. ბარათაშვილი, თ. გოგოლაშვილი, ე. იანქოშვილი, ს. ჭიაურელი; ბ.ბ. ნ. გოცირიძე, დ. ბაქრაძე, შ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ნიშვილი, ა. თავდგირიძე, ა. იმერელი, ნ. ჭანკვეტაძე.
ადგილების ფასი 3 მ. 50 კ.
ბილეთების კასა ღია ყოველ დღე დილის 12—2-მდე და საღამოს 6—8 საათამდე დასაწყისი საღამოს 6 საათზე. შემდეგი წარმოდგენა ნოემბრის 22.
რეჟისორი ი. ბარველი. 2390

სახელმწიფო თეატრი

ორშაბათს, ნოემბრის 18 ს,
ქართ. დრამატიული საზოგადოების ახალი დასი ხსნის ხენს ზობრიეს 5 მოქ. მუსიკალური დრამით

„სარწმუნოება"

პიესა რამდენჯერმე განმეორდება.
სხვა და სხვა ანსამბლით. შემდეგი წარმოდგენები: „ღალატი", „მსხვერპლი", „ბურუსი", „ვითა ფოთლები" და სხვა.
რეჟისორი: გ. ჯაბადარი. ადმინისტრატორი: მიხ. ხერხეულიძე.

ცირკი „მოდერნი"

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)

საუკეთესო საღამო სეზონში

შაბათს, 1918 წ. ნოემბრის 16 ს გაიმართება ჯერ უნახავი

დიდი ბენეფისი

ცნობილ აკრობატების და ჰეროპლანზე სარტომორტალისტების კომოს დასისა. დღეს სენსაციური დიდი კაბარეა. ყველა ძალების მობილიზაცია. მთელი დასი მონაწილეობს. დღიურ პროგრამაზე სატირა-იუმორი. მონაწილეობენ ორი კინტო, მომღერალი ქალი ლინა და სხვა. დღეს გასტროლია გამოჩენილი კუპლეტების ავტორისა. ცეკვა მარია ბრუნოსის და იულუს კომოსი.
ანონსი: ხვალ კავკასიური ჰიდაობა ზურნით. დასაწყისი 7½ ს.
მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2397

---

* *
*

[illegible]

ვისაც რომ უყვარს ქვეყანა
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე ბედზე
ტარიელივით სტირისა,
ის დღეს ჩვენც დაგვეხმარება,
კვნესა-მე მისი ჭირისა!
ჩვენც ამ მიზნით ვმართავთ
ამ დიდს ლატარიას;
გვწამს თქვენც დაამშვენებთ
ახალს ისტორიას!

ვისაც გულს ცეცხლი უნთია
და განცდა ძალუძს ტკბობისა,
ვისაც აღმოფხვრა სწადიან
კაცთა შურის და მტრობისა,
მოდით, აღვმართოთ ტაძრები
გონებისა და გრძნობისა!

ვინც უყოყმანოდ შეიძენს
ბილეთებს ლატარიისას,
ვინც ხელოვნებით სულდგმულობს,
ვინც რომ წყაროს ჰსვამს იისას,
ის იგრძნობს განცდას უტკბილესს
უმწიკვლო პოეზიისას!

ვისაც კი უყვარს აკვანი
ამირან გმირთა-გმირისა,
ვინც საქართველოს სვე-ბედზე
ზრუნავს და მისთვის სტირისა,
ის დღეს ჩვენს ბილეთს შეიძენს,
კვნესა მე მისი ჭირისა!

განცხადება

ცენტრალური სასურსათო საბჭო (მადათოვის ქ. № 3, ყოფილი სასურსათო სამინისტრო) ამით აცხადებს საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა საყურადღებოდ, რომ მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ ხსენებულ საბჭოში მარცვლოვანი მარილი დაწესებულ ფასებში.

მარილის მიღება შეიძლება ქ. ტფილისში და ქ. ფოთში. 1411

ტფილისი, ნოემბრის 16.

რუსოფილური აგიტაცია. ქართველებისათვის ახალი ამბავი არ არის, რომ დღიდან ჩვენის რესპუბლიკის დაარსებისა, გაცხარებული აგიტაცია არსებობს საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ. პირველად ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი ქვეყანა ძლიერ პატარაა, ეკონომიურად უძლური და ჩქარა დაიღუპება. მას არც ძალი შესწევს თურმე, არც ცოტაოდნად მომზადებული ხალხი ჰყავს, რომ ისეთი აპარატი შექმნას, რომელიც სახელმწიფოებრივს ოდნავ დაემსგავსება. გვიბრალებდნენ აგრეთვე, რომ ასე ღარიბია ქართული ენა და უკვირდათ კიდევაც —ნუ თუ შესაძლებელია კანონების ქართულად გამოცემა, ნუ თუ ოფიციალური გაზეთის ქართულად გამოცემა წარმოსადგენია. მაგრამ განსაკუთრებით ამბობდნენ, რომ ურუსეთოდ საქართველო ერთს წუთსაც ვერ გასძლებს და ყოველ გზაჯვარედინზე გაჰკიოდნენ—კავშირი რუსეთთან „რევოლიუციონურ" დემოკრატიასთანა და სხვა.

დროთა განმავლობაში ნათელი შეიქმნა, რომ საქართველოს შესძლებია საკუთარ გზით სიარული, საკუთარ ფეხებზე დგომა. და რამდენადაც აშკარა ჰხდებოდა ქართველი ერის თავისუფლების სიმტკიცე, იმდენად უფრო ირეოდნენ და გიჟდებოდნენ ჩვენი მტრები და იმდენადვე ძლიერი ჰხდებოდა მათი შავბნელი აგიტაცია სოფლად და ქალაქად, რასაც ბოლოს და ბოლოს ქართველი ხალხის შეუგნებელ ელემენტების ამბოხებაც კი მოჰყვა.

ვინ გვებრძოდნენ ჩვენ და ვინ ჰქადაგებდა რუსულ კულტურის, რუსეთის სახელმწიფოებრიობის ცის მანანობას? რუსის ესერები, რომელთაც მეთაურობდნენ ისეთი „რუსები", როგორიც არის თარხანოვი და ხუდადოვი. რუსის კადეტები, რომელთაც ისეთი ნამდვილი რუსი ლიდერები ჰკავდათ და ჰყავთ, როგორიც არიან: ხანდანოვი, ამირალოვი, ბერბერიანი და ძმანი მათნი. და ეს ვაჟბატონები სიტყვების კორიანტელს აყენებდნენ რუსის ხალხის და რუსის კულტურის სახელით. ნამდვილად კი ისინი ერთს რასმე ეტრფოდნენ და ეტრფიან: დანგრევას საქართველოს რესპუბლიკისას და კავკასიის რუსეთთან შეერთებას, რადგან მათი ერის ინტერესებისათვის, მათი აზრითვე, ეს საუკეთესო იქნებოდა. ეს იყო და არის ნამდვილი სპეკულიაცია სხვისი სახელით, ვაჭრობა ნაქურდალისა საკუთარის ჯიბის გასასქელებლად...

მაგრამ უმთავრესი ბუდე საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებისა იყო რუსთა ეროვნული საბჭო. აქ თავი მოიყარეს ყველა მათ, ვინც რაიმე მიზეზით უკმაყოფილო იყო ჩვენი: ლიკვიდაციის და ნაციონალიზაციის გამო უადგილოდ დათხოვნილი მოხელეები, შავრაზმელები და იმპერიალისტები, რომელთაც რომელისამე ერის თავისუფლება დიდი, თვითმპყრობელი რუსეთის უბედურებად მიაჩნდათ. ეს საბჭო პროვოკაციულ ქსელს აბამდა ყველგან და სცდილობდა ესარგებლნა იმ არევდარევით, კრიზისით, რომელიც შედეგია ყოველგვარ ძირითად ცვლილებისა, რევოლიუციისა. ტფილისის ქუჩები გაყრუებულია ათასგვარ გაზეთების სახელთა ამოძახილით, რომელთაც ჩვენი რესპუბლიკის დამხობა აქვთ მიზნად დასახული. ჩვენი მთავრობა ყველაფერს ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს. ჩვენ გვესმის სიტყვის, პრესის თავისუფლება, მაგრამ თავისუფლება პროვოკაციისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ გალაშქრებისა—მთავრობამ უნდა აჰლაგმოს მთელი თავის აპარატის ძლიერებით და ნება არავის მისცეს საქართველოს დამხობისათვის სისტემატიური მუშაობა აწარმოოს.

მაგრამ აქაურებს თავი რომ დავანებოთ, გარეშეები, ჩვენში „სტუმრად" ჩამოსულნიც არ გვაყრიან ხეირს. საქართველო გაჰხდა პოლიტიკურ კომმივოიჟორთა ქვეყანად, სადაც საკუთარი ქვეყნის ბედის მაძიებელნი ჩვენის ხარჯით აპირებენ განახლებას და აღდგენას. ამას წინად რუსის „სოციალ-დემოკრატი" გვირჩევდა—ხელი აგვეღო დამოუკიდებლობაზე და საზავო კონფერენციაზე წარმდგარიყავით, როგორც ნაწილი რუსეთისა და ვცდილიყავით, რომ სხვა ერებიც ასე მოქცეულიყვნენ. ეხლა ტფილისს ჩამობრძანებულა ბ. ბალიანტოვი და სხვა. უფრო ლოიალური გზით ამას გვირჩევს. ეს ადამიანი ჩამოდის სუვერენულ, დამოუკიდებელ ერის ქვეყანაში, რომელსაც თითქოს გარკვეული პოლიტიკური გეზი და ორიენტაცია უნდა ჰქონდეს დამოხსენებას კი ხულობს რუსეთის ქალაქთა გაერთიანებაზე. და ამ რუსეთად იგი საქართველოსაც ანგარიშობს ჩვენ არც კი ვიცით, ვისი

წარმომადგენელია ბ. მალიანტოვიჩი, რადგან რუსეთში დღეს არსებული მთავრობა მას თავისად არ აღიარებს, ხოლო თუ იგი იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელიც ბოლშევიკებს ებრძვის, ჩვენი მასთან ყოფნა რუსეთის საქმეებში ჩარევა იქნება და ტყუილა უბრალოდ გადამტერება იმ ელემენტებისა, რომელთაც ყოფილ რუსეთის საჭე ხელთ უპყრიათ. რა საქმე უნდა გვქონდეს, ან რანაირად უნდა დავეხმაროთ რუსეთის აღმდგენლებს, რომელნიც საქმეს ქალაქთა გაერთიანებით იწყებენ. ჩვენი მონაწილეობა ამ საქმეში იქნებოდა მეტიჩრობის და ჭინჭრაქობის გარდა—შებღალვა საქართველოს სუვერენობისა და საცინლად აგდება საკუთარის დამოუკიდებლობისა.

მით უფრო საკვირველია, რომ ბ. მალიანტოვიჩს ოფიციალური დაწესებულებანი კრებებს უმართავენ და სოციალ დემოკრატიულ გაზეთს „ბორბას“ შესაძლებლად მიაჩნია საქართველოს ქალაქთა მონაწილეობა სრულიად რუსეთის ყრილობაზე. ჩვენ დიდ შეცდომად მიგვაჩნია ეს და მთელი ჩვენის არსებით წინააღმდეგობას გაუწევთ ამ შელახვას ჩვენი დამოუკიდებლობის. მაგრამ რა გასაკვირველია „ბორბასაგან“ ასეთი აბრუნდი, როდესაც იმავე ნომერში ვინმე ჯომარჯიძე რუსეთის კულტურას მასტირის და სიამაყით აღნიშნავს, რომ ხუთმეტი წლის განმავლობაში მასწავლებლობის დროს იგი მუდამ იმის ცდაში იყო რომ „ტუზ მცებისთვის“ რუსული ენა შეეყვარებინა. ჩვენ რუსულ ენას არ ვამცირებდით და არ ვამცირებთ, მაგრამ არის თუ არა ასეთი არსებითად რუსოფილური აგიტაციის დროს რეგვენი საქმეს წაახდენს ფათერაკს დააბოლებსო... ერთი ვკითხოთ ამ ადამიანს—უნერგავდა კი იგი „ტუზემცებს“ სამშობლო ენის სიყვარულს? ვეჭვობთ...

ყოველ შემთხვევაში, საჭიროა მთავრობამ ბ. მალინტოვიჩის მოქმედებას ყურადღება მიაქციოს და ნება არ მისცეს რუსეთის „მთავრობათა“ არც ერთს აგენტს საქართველოს დამოუკიდებლობის შელახვისა და ლოიალური გზით ჩვენთან ბრძოლისა.

ნარკვევი

ინგლისელების მოსალოდნელი შემოსვლის გამო ამიერ-კავკასიაში საზოგადოდ და საქართველოში—კერძოდ მეთაურ

წერილს უძღვნის რუსების სახალხო პარტიის ორგანო „რეჩი“ და სხვათა შორის სწერს:

„ეს მიზანი, რომლის ცხოვრებაში გატარებასაც ეცდებიან ინგლისელები, დაკავშირებული იქნება მათ ბრძოლასთან ბოლშევიზმთან, რომელმაც დაანაწილა და გასტეხა რუსეთი“. დღევანდელი დღის მათი მუშაობაც ამ მიზნით იქნება განსაზღვრული... მოკავშირენი რა თქმა უნდა, საქართველოთი არ დაკმაყოფილდებიან და თავიანთ გავლენას გაავრცელებენ ყველა სახელმწიფოზე, შეეცდებიან მათი ინტერესების გაერთიანებასა და კოორდინაციას“.

ჩვენ არ ვიცით, მისცეს თუ არა ინგლისელებმა „რეჩ“-ს საბუთი ამნაირი მტკიცებისთვის, მაგრამ ერთი კი ცხადად სჩანს ამ ამონაწერიდან. რუსების სახალხო პარტიას, როგორცა სჩანს, ინგლისელების შესაძლებელი მოსვლის გამო, ძველებური იმედები გაეღვიძა და თითქმის ღრმად არის დარწმუნებული, რომ ინგლისელების საშუალებით ამიერ კავკასიის ერთა ზურგით რუსეთი კვლავ მოახერხებს თავისი სახელმწიფოებრივი მპყრობელობის განმტკიცებას კერძოდ საქართველოზედაც. რა თქმა უნდა „ინტერესთა შეთანხმება და კოორდინაცია რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთათვის კარგი საქმეა და ამ კარგს საქმეს საქართველო არასოდეს არ გაექცევა, მაგრამ, თუ სახალხო პარტიის გაზეთს ჰგონია, რომ ამ ინტერესებს საქართველოს შეუძლიან თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი შესწიროს, ძალიანა სცდებიან.

უკანასკნელი ცნობები

რუმინია.

მოსკოვის ცნობებით რუმინიას ომი გამოუცხადებია გერმანიისათვის.

ინგლისელები.

როგორც გაზეთი „ბორბა“ გადმოგვცემს, ნოემბრის 13 ბოსფორიდან 6 კრეისერი გამოსულა დესანტით ბათომისაკენ ბათომში ინგლისელთა კრეისერებს მოელოდნენ.

ზავის პირობები

გერმანული პრესა ნოემბრის 13-ს.

ნეიტრალური პრესა, ისე როგორც გერმანიის პრესა, აღნიშნავს რომ მოკავშირეთა დროებითი ზავის პირობები მეტად მძიმე და აუტანელია, მით უმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის მიმართულია ძველი მთავრობის კა არა, გერმანიის ხალხის წინააღმდეგ, რომელიც ახლა თვით განაგებს თავის საქმეს. გაზეთი „სოციალ-დემოკრატენში“ ბრანტლინგიც კი უწოდებს მას საშინელს და გამოსთქვამს იმედს, რომ მოკლე ხანში ბლოკადას მაინც მოხსნიან. „დაგენს-ნიტენი“ სწერს, რომ პირობები თითქმის იგივეა. რომელიც ნორდკლიფის პრესაში იყო. გამარჯვებულია გაუმაძღრობის და შეუბრალებლობის ძველი ისტორია მეორდება. „სვენსკა დეგბლადეტი“ ამბობს: როცა ჩვენ ვკითხულობთ პირობებს, ჩვენ ვგრძნობთ, რომ მისი მიზანია ჯავრის ამოყრა. აქ ჩვენ ვერ ვხედავთ საბუთს. რომელსაც ისტორია საგულისხმობს მომენტში იმუშავებს რამოდენიმე პასუხისმგებელი პირი მათ განზრახული აქვთ გერმანიის სრული განადგურება. ახალმა გერმანიამ უნდა გაიგოს, რომ იგი გამარჯვებულის მსხვერპლია და ძალ-ღონე მოკლებულს ხელ-ფეხი შეკრული აქვს.

პრესის აზრი.

ჰოლანდიის და შვეციის გაზეთები ერთი და იმავე აზრის არიან დროებით ზავის პირობებზე „ფატერლანდი“ სწერ: შეუძლებელია ამაზე უფრო მძიმე პირობების წამოყენება. თუ სცვი ისეთი უნდა იყვეს, როგორც ვილსონმა წამოაყენა, ზავი დამყარებული სამართლიანობაზე და ხალხთა შერიგებაზე, რომელიც იწყებს ძმათა კავშირის, ხელჩაკიდებულ მუშაობის და წესწყობილების შეცვლის ხანას, იმ შემთხვევაში კონგრესს სხვაგვარი სულისკვეთება უნდა ამოქმედებდეს, და არა ისეთი, რომელიც დროებითი ზავის პირობებშია. „ნიუ-როტერდამე-კურანტი“ სწერს: „დროებითი ზავის პირობები შემუშავებულია მანამდე, სანამ გერმანიაში რევოლიუცია დასრულდებოდა, ამ ხანას ეს პირობები მიუღებელია. გერმანიის მთავრობამ, შვეიცარიის მთავრობის შუამდგომლობით, ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას შემდეგი ნოტა წარუდგინა: „ეხლა, როდესაც დროებითი ზავი ჩამოვარდა, გერმანიის მთავრობას აუცილებლათ მიაჩნია სთხოვოს შეერთებული შტატების პრეზიდენტს ზავზე მოლაპარაკება დაიწყოს. საქმის დაჩქარებისთვის გერმანიის მთავრობა წინადადებას იძლევა შეკრან წინასწარი ზავი და აცნობოს ადგილი და დრო, თუ სადა და როდის დაიწყება მოლაპარაკება. იმის გამო რომ, შესაძლოა სურსათის საკითხმა მდგომარეობა გაამწვავოს და ცუდი შედეგი მოიტანოს გერმანიის მთავრობა დაუყოვნებლივ ზავზე მოლაპარაკების დაწყებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს

სტრასბურგიდან მოსული ცნობების თანახმად ელზასის მეორე პალატამ 11/11 თავის თავი გამოაცხადა ელზას-ლორენის ეროვნულ საბჭოთა და თავის წრიდან დროებითი ადმინისტრატული კომიტეტები აირჩია.

ჰოლანდიის სოციალისტურ მუშათა პარტიის ორგანო გამოსთქვამს იმედს რომ სოციალისტური იდეა გავრცელდება გერმანიის საზღვარს იქით გაზეთი სწერს: ეჭვი არაა, რომ გერმანიის რევოლიუცია გავლენას იქონიებს ევროპის სხვა სახელმწიფოებზედაც. ყველა ქვეყნის მუშას გადაწყვეტილი აქვს მიემხროს გერმანიის სოც.-დემ., რომელმაც თავის თავზე დიდი საქმე იკისრა. კაპიტალისტურმა სისტემამ საუკუნოდ დაჰკარგა ხალხში ავტორიტეტი.

ახალი ამბავი

✦ **ახალი ჟურნალი.** კვირას, 17 ნოემბერს გამოვა ახალი პოლიტიკური, სალიტერატურო და სამხედრო ჟურნალი „ჯარი და ერი“. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, მწერლები და სამხედრო სპეციალისტები.

✦ **კონცერტი** კვირას, 17 ნოემბერს რეალურ სკოლის დარბაზში (ურიცკის ქ.) ქართ. სამუსიკო საზოგადოება ჰმართავს პირველ უფასო კამერულ კონცერტს. მოსწავლეებისათვის. ლექციას გერმანულ მუსიკის შესახებ წაიკითხავს ცნობილი ლ. ი. სამინსკი, დასაწყისი დღის 12 საათზეა.

✦ **კრება.** კვირას, 17 ნოემბერს დილის ცხრა საათზე სამედიცინო საზოგადოების შენობაში მოხდება აფთიაქში მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის საერთო კრება.

✦ **შავი ზღვის პირის რკინის გზა** ტფილისში ჩამოვიდნენ შავი ზღვის პირის რკინის გზის მაშენებელნი ინჟენერი კარპოვიჩი და კრანცი. გუშინ ისინი წარუდგნენ გზათა მინისტრს მოხსენებით.

✦ **ხალით-ბეის დეპეშა ლტოლვილებზე.** გენ. მაყაშვილისაგან სამხედრო მინისტრმა შემდეგი დეპეშა მიიღო: „ჩემს შეკითხვაზე უზრუნველყოფილი იქნება სიცოცხლე და ქონება ლტოლვილებისა თავის კერაზე დაბრუნების დროს“, ეხლა მივიღე საპასუხო ტელეფონოგრამა ხალით-ბეისაგან, რომელიც შემდეგს მატყობინებს: როგორც სომეხთა ლტოლვილებს, რომელნიც შეადგენენ ახალციხე-ახალქალაქის მაზრების უმრავლესობას ლტოლვილთა კომისიის ნებართვით ისე ქართველ ლტოლვილებს აქვთ უფლება დაბრუნების თავიანთ სოფლებში. იმავე დროს ჩემზე ვიღებ ვალად მათ მფარველობას. გთხოვთ აუწყოთ ქართველთა ჯარების უფროსთ—დივიზიის უფროსი ხალით-ბეი“.

✦ **აირუმის სადგურზე.** ვორონცოვკის ჯარების ნაწილის უფროსი პოლკ. რამაზაშვილი ტელეფონოგრამით ატყობინებს სამხ. მინისტრს შემდეგს: „გთხოვთ მიბოძოთ განკარგულება, როგორ მოვექცე იმ სომხებს, რომელნიც შეჯგუფებული არიან სადგურ აირუმზე და ნებართვა კი არა აქვთ გასვლისა არც ტფილისში, არც სომხეთის რესპუბლიკაში.

✦ **პოდპორუჩიკი ევსევი ჩიქვანაია** თებერვალში ამა წლისა იყო ქ. ოდესაში. მას შემდეგ მის შესახებ არაფერი არ ვიცით. თუ ვინმემ რამე იცის, გთხოვთ გაგვაგებინოთ წერილობით: ტფილისი, სასახლის ქუჩა, რედაქცია „ალიონი“ სახ. № 5. თომა ჩიქვანაიას.

✦ **სომხების საწყობები.** შინაგან საქმეთა მინისტრმა საგარეო საქმეთა სამინისტროსაგან მიიღო სომხის რესპუბლიკის დიპლომატიურ წარმომადგენლის მოწერილობის ასლი მილიციისა და დარაჯთა შესახებ, რომელნიც იცავენ სომხების რესპუბლიკის საწყობებს სათანადო განკარგულებისათვის; სომხის დიპლომატიური წარმომადგენელი სთხოვს საგარეო საქმეთა სამინისტროს განკარგულება მოახდინოს იმ დატყვევებულ სომეხ ჯარის კაცთა განთავისუფლების შესახებ, რომელნიც მანთაშევის ქარვასლაში სომეხთა სამხედრო ქონებას უფრთხილდებოდა და ძალადობა აღმოუჩინა მილიციისა და სამხედრო ნაწილებს ჩხრეკის მოხდენის დროს.

✦ **სომეხთა ლტოლვილნი.** სომეხთა ეროვნულ საბჭოს ლტოლვილთა განყოფილება სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულება მოახდინოს, რეკვიზიციით ჩამორთმეულ შაქრის დაბრუნების შესახებ, რომელიც ბაკურიანში მოსახლე ლტოლვილებს ეკუთვნის და მოთავსებული იყო ბორჯომის ხასურსათო საწყობში.

✦ **სადარაჯოს დაარსება.** დალის დამკვრელ გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე სათანადო სადარაჯოს დანიშვნის შესახებ.

✦ **ბინების დაცლა.** საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზების უფროსმა ლიანდაგის უფროსთა სახელზე მიწერილობა დაგზავნა რომლითაც ატყობინებს, რომ შტატ გარეშე დარჩენილი მოსამსახურენი მოვალენი არიან დაცალონ ბინები ერთი კვირის განმავლო-

„სონეტი საქართველოში“

დავპირდი რობაქიძეს და ვასრულებ კიდეც ჩემს დანაპირს.

მხოლოდ არვიცი კი, ღმერთმანი, როგორ დავიწყო ეს წერილი: როგორის ასოებით მოვხაზო იგი, რომელი სალებავით დავბეჭდო, რომ რობაქიძესთვის სავალდებულო გავხადო: პირდაპირ მიპასუხოს ჩემ მიერ დასმულ კითხვაზე და არა იმაზე, რაც სრულიად სხვა საკითხს შეადგენს!

ე ოხერი ქართულად ვწერ, ქართულად ვაზროვნებ, ქართულად ვებაასები და თუ რობაქიძემ, ამ ბოლო დროს, წაკითხვის უნარიც დაჰკარგა, მაშინ მე აქ არაფერ შუაში ვარ!

საკითხი ასეა დასმული!

ბატონი რობაქიძე იმ საბედისწერო „საღამოზე“, იმ სამნახევარ კაცს, რომელიც მის „დღეობას“ დაესწრო,—ატყუებდა (დიახ, ატყუებდა!), რომ „საქართველოში სწორი სონეტები პირველად მე შემოვიტანეო!“

მე ვუმტკიცებდი და ეხლაც ვუმტკიცებ,—რომ—ეს სიყალბეა, თაღლითობა, ეს საზოგადოების აბუჩად აგდებაა. ქართული სიტყვიერების არ ცოდნაა, რაც არ ეპატიება ისეთ კაცს, რომელიც კრიტიკოსთა თავადობას ჩემულობს!

რობაქიძე კი თავის „პასუხში“ (იხ. „საქართველო“ № 214) სანთელის შუქივით ბარბაცებს და ჩემს სრულიად სამართლიან და მოკვეთილ შენიშვნას: „ათასერთ ღამის“ ხასიათს აძლევს.

„გრიშაშვილი სიტყვას ბანზე ისვრისო!“

ქვევით მკითხველი აშკარად დაინახავს, თუ ვინ ისვრის სიტყვას ბანზე და ვინ უნდა ავგზავნოთ იმის ჩამოსატანათ!

ჯერ ჩემზე. რობაქიძეს მოჰყავს ის სონეტები, რომელნიც ჩემს წიგნში არ არიან დაბეჭდილნი, და ამბობს: „არ არის სწორეო!“

რაც სწორე არ არის, მას რობაქიძე ვერ გაასწორებს. ან როდის ვთქვი, თუ ღმერთი გწამთ, რომ ხსენებული სონეტები სწორია—მეთქი! პირიქით! ჩემი წიგნის გარეშე მოთავსებული სონეტები, არ არის სწორი და მე ეს რობაქიძეზე ადრე აღვნიშნე ჩემსავე „საათნოვაში“ როცა სხვა „ბრუნდე სონეტებს“ შევეხე, სადაც ვამბობდი: იხილე „ჩანგი“ 1909 წ. გვ. 353 და „ივერია“ 1909 წ. № 21—(რისთვის მიყვარხარ“.) და სხვ...

ეს ერთი პეიტრობა ჯერ.

ეხლა **შანშიაშვილზე.** რობაქიძეს მოჰყავს შანშიაშვილის ლექსი „საქართველოს მოამბიდან“ (1909 წ. № 4) და დასძენს: „აქ გარდა **თოთხმეტი სტრიქონისა არა-არის-რაო!**—(ხაზი ჩემია)... რითმები ან შაბლონია (ელავდა-ღელავდა), ან არაკეთილხმოვანი (თავდავიწყებას—ხატებას), არ არის ერთი იდეა ხატულად მოშვილდული .. პოეტურობა ლექსისა მეტად მდარეაო!“

ჰხედავ, მკითხველო, რას ეხება ბატონი რობაქიძე? მე როცა სონეტებზე ვლაპარაკობდი, არსებითად ვლაპარაკობდი სონეტზე, როგორც ლექსის ფორმაზე და არა მის „შინა-მხარეზე“ მის „პოეტურობაზე“ და სხვა..

ესაც მეორე ლოღიკა!

შეიძლება შანშიაშვილის სონეტი თავისთავად სუსტი ლექსი იყოს, მაგრამ ის მაინც სონეტია, **არა-კარგი სონეტი!** ხოლო რაც შეეხება მის „პოეტურობაზე“ ლაპარაკს რომ „იგი მეტად პრიმიტულია“ „არ არის არავითარი საგულისხმიერო პოეტური იდეა, პოეტური ხატიო“ ეს სულ სხვა საკითხია! და იცით რა გითხრათ, ბატონო რობაქიძევ, მოდი ლექსის პოეტურობას თავი დავანებოთ! ვინაიდან, მე ყველაზე მეტად ლექსი მიყვარს და, თუ ღმერთი გწამთ, ნუ შემაძულებთ მასა!.

შანშიაშვილის „აღელვებ ღ-აყვავებულ“ არაკეთილხმოვანს უწოდებს. ყოველ შემთხვევაში არა ისეთი კეთილ-ხმოვანი, როგორც მაგალითად: „აღთნელა-თმაშაველა“ „თეთრყელა-ტიტველა“ „თეთრყელა-ტიტველა“ „ნისლით-სიმძიმით“ და სხვ.

„ელავდა-ღელავდა“ შაბლონიაო! შეიძლება დღეს, თქვენს ხელში, მართლაც შაბლონი იყოს, მაგრამ მაშინ კი, როცა ამ რითმებს შანშიაშვილი ჰხმარობდა, არცისეთი შაბლონი იქნებოდა დამერწმუნეთ! დალოცვილებო, ჯერ თქვენი ლექსი არც კი დაბადებულა უკვე შაბლონია და ამ ათი-თორმეტი წლის წინად ნახმარი ერთი რითმა, რომ დღეს შაბლონი გახდეს, რა დიდი ბედენაა ვითომ?..

საკითხი ასეა დასმული: ისეთი სონეტი, როგორსაც დღეს რობაქიძე სწერს, იყო ჩვენში თუ არა? მე ვამტკიცებ, რომ იყო! ხოლო რობაქიძე კი ამბობს: „რაც „ცისფერყანწებამდე“ სონეტი დაწერილა, არც ერთი მათგანი დაახლოვებით არ შეიძლება სონეტად იყოს მიღებულიო!“ ნიმუშად, რასაკვირველია, თავისი ლექსი მოჰყავს და დასძენს: „საქართველოში ერთადერთი სწორი სონეტი მე შემოვიტანეო!“.

სპარსელებს ერთი ანდაზა აქვთ: „ვინც უხალთუნს მიწუნებს, იმან აბაზიანი მაინც უნდა მიჩვენოსო!“

აბა, მკითხველო-ჯან! ერთი გულისყურით მომექეცი, რომ „ყანწელების“ სონეტები (და მათ შორის რობაქიძისაც—რასაკვირველია) გავარჩიოთ და დავრწმუნდეთ: მართლა მათი სიტყვა ჯანაოზ ექიმის ფაზარი და ხუთოა, თუ იმერული აბაზი!

რობაქიძეს მოჰყავს **აბაშელის** სონეტი „მზის სიცილიდან“ (გვ. 80) და დასძენს: „ამ ლექსის სონეტობას არღვევს ის რომ, მეოთხე სტრიქონი პირველი „ოთხიანისა“ განმეორებულია მეორე ტერცეტის მესამე სტრიქონში, **განმეორებულია** (ხაზი ჩემია) აგრეთვე სიტყვები: „ცეცხლი“ სამჯერ, „გრძნობა“ ორჯელ, „სული“ ორჯერ და სხვები—(სონეტში სიტყვის ასეთი განმეორება მართებული არის“-ო).

კეთილი და პატიოსანი!

მე მომყავს რობაქიძის სონეტი (იხ. „ახალი ჩანგი“ გვ 216) და დავძენ: იქ „გიშერი“ ორჯერ არის ნახმარი, „თვალები“ ორჯელ, „სილამაზე“ ორჯელ, „მთა“ ორჯელ „ლალი“ ორჯელ და სხ. არამც თუ სიტყვები თვით ფრაზებიც ორჯელ აქვს ნახმარი! მაგალითად: „როს, „როს“, „შენით-შენით“ „ოხ, რომ იცოდე ვით“, „ოხ რომ იცოდე ვით“ და სხვა

ეს ლექსი პირდაპირ შეიძლება კლასიკურ ნიმუშად ჩაითვალოს თუ როგორ არ უნდა დაიწეროს სონეტი, იმ კანონის მიხედვით, რომლითაც ბატონი რობაქიძე ხელმძღვანელობს აბაშელის სონეტის გარჩევის დროს.

შეიძლება ბატონმა რობაქიძემ სთქვას ასეთი ჩემი სონეტი „ჩანგში“ დაიბეჭდა, მე კი „ყანწებში“ დაბეჭდილ სონეტებზე ვლაპარაკობ—მაშინ ვთხოვ, კრიტიკოს რობაქიძეს, გადაშალოს „ყანწების“ მეორე ნომერი და მოისმინოს პოეტ რობაქიძეს ეს

სონეტი ლოცვის:

„უძირო **სევდა**, ნელი **სევდა**, ვით ძილი ქვისა,
ფიცხლი **ფიქრის**, მწვავე **ფიქრის** წითელი გზნება,
უწიკლო **ტევრი**, ხშირი **ტევრი**, უსიტყვო თქმისა,
დამწვარი თვლემა, მყუდრო მკრთალი, **დამწვარი** ვნება!“ და სხვ

(იხ. „ცისფერი ყანწები“ № 2)

ეხლა კი თვით ავტორისთვის მიმინდვია: დე იმან ჩამოსთვალოს რამდენჯერ აქვს ნახმარი: „სევდა“, „ფიქრი“, „ტევრი“, „დამწვარი“ და სხვ.

როგორც ყოველთვის არც ამ შემთხვევაშია რობაქიძე მართალი: ეს „მომაკვდინებელი ცოდვა“ ყველა მის ამყოლ დამყოლს ემართება. **მაგალითად:** იაშვილის ერთ სონეტში, რომელიც ვალ. გაფრინდაშვილს უძღვნის—„მზე“ ორჯელ არის განმეორებული, „ხმა“ ორჯერ, „ოცნება“ სამჯერ და სხვ. თვით გაფრინდაშვილის ერთ ცნობილ სონეტში კი: „თითები“ ორჯერ არის ნახმარი ხოლო „ტილები“ კი სამჯერ.

მე აქ აღარ მომყავს გ. ტაბიძის და ტ. ტაბიძის სონეტები, ვინაიდან როგორც რობაქიძე ამბობს: **მათ თურმე** თვითონვე აუღიათ ხელი თავიანთ ლექსების სონეტობაზე!

დაშხოშ ბიჭო!

რა კარგია და!

ამ პოეტებმა მარტო იმიტომ უარყვეს თავიანთი სონეტები (არა ორფა რითმით აკინძულნი), რომ რობაქიძისთვის გაეადვილებინათ სხვათა გაფასება.

„სიყვარულო ძალსა შენსა“

ეხლა მაგალითად მე რომ დაუმტკიცო გრ. რობაქიძეს არა-პოეტობა და ნამდვილ პოეტებად მივიჩნიო ტ. ტაბიძე და გ. ტაბიძე—დარწმუნებული ვარ ეს უკანასკნელნი, ამ ფეშქაშად მირთმეულ პოეტებსაც უარყოფენ ოღონდ თავიანთ „ალა-ბატონის“ ბედი გაიზიარონ!

ნათქვამია „ჩათრევას ჩაყოლა სჯობიანო!“.

ეს სხვათა შორის. ეხლა ისევ რობაქიძეს „სიტყვებს“ დაუბრუნდეთ. მაშ რიღათი მოგაქვთ თავი, ბატონო რობაქიძევ! ნუ თუ ამის შემდეგ (ზემო მოყვანილ თქვენი სონეტების შემდეგ) კვლავ იტყვით: „გრიშაშვილის წიგნში მოთავსებული სონეტები ერთნაირად არღვევენ სონეტის ფორმას როგორც აბაშელის ლექსიო!“

ნუ თუ კვლავ დაიმოწმებთ „ყანწელებს?“

ნუ თუ ამის შემდეგ არ გამოიჩენ იმდენ მოქალაქობრივ გამბედაობას, რომ საჯაროდ უკან წაიღოთ თქვენი სიტყვები: ვითომ საქართველოში სწორი სონეტები პირველად თქვენ შემოგვტანოთ!

ბაში; თუ ეს განკარგულება არ შეასრულეს, გზის ადმინისტრაციას მილიციის დახმარებით ევალება ძალით განდევნონ ისინი ამ ბინებიდან.

◆ **გვაზავას ჩამოსვლა.** გუშინ სტამბოლიდან ტფილისში ჩამოვიდა საქართველოს საზავო დელეგაციის წევრი გიორგი გვაზავა.

◆ **ინგლის-საფრანგეთის მისია** ნოემბრის 14-ს ბათომიდან ტფილისში ჩამოვიდა ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიური მისია. მისიაში ხუთი წევრი შედის.

◆ **ბინა მისიისთვის.** ტფილისის მილიციის უფროსმა რუსთა ეროვნულ საბჭოს წინადადება მისცა მიუჩინოს ინგლის-საფრანგეთის მისიას სასტუმრო „ლონდონ"-ში ხუთი ოთახი.

◆ **რევიზია.** სახელმწიფო სასწავლებელთა ზოგმა დირექტორმა უკვე დაამთავრა თავის სასწავლებლის რევიზია, რის გამოც სათანადო მოხსენება წარუდგინეს განათლების სამინისტროს.

◆ **რკინის გზებზე** საქართველოს რკინის გზათა უფროსის განკარგულებით, ყველა საქონელი ნატანებში იგზავნება ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობის სახელზე რომ იგზავნება, რკინის გზაზე გადასატანად, ამიერიდან საქონლის გაცვლა-გამოცვლის კომიტეტის ნება დაურთველად მიიღება.

◆ **გაძარცვა.** ნოემბრის 14-ს ღამით კატლაძერის ქუჩაზე იარალოვის ბინიდან ბოროტ-გამზრახველებმა გაიტაცეს 90,000 მანეთი ფულათ და სხვა სხვა ნივთები. მათ გვარდიელები დაედევნენ და სროლა აუტეხეს. სროლის დროს ავაზაკებმა ერთი გვარდიელი დასჭრეს და მიიმალნენ.

◆ **ლტოლვილი რუსები.** რუსთა ეროვნულმა საბჭომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ დაუბრკოლებლივ გაუშვან კავკავში ის არტაანელი რუსი ლტოლვილები, რიცხვით 160 კაცი, რომელნიც 25 ფურგუნით წალკიდან კავკავში მიდიან.

◆ **ძეგვის ხიდის დასრულება.** საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის მოძრაობის უფროსმა აბელაშვილმა განკარგულება მოახდინა, რათა საფოსტო მატარებლებმა № 3 და № 4 ტფილისიდან ფოთამდე ხიდის სრულიად შეკეთების გამო იარონ იმ დროთი, რომელიც უკვე იყო შემუშავებული ხიდის დაზიანებამდე. რკინის გზათა უფროსის თანაშემწემ ინჟ. კენგემ განკარგულება მოახდინა ლიანდაგზე, რომ ძეგვის დაზიანებულ ხიდის საბოლოოდ შეკეთების გამო საქართველოს რკინის გზები მეზობელ რაიონის გზებისაგან უკვე იღებენ ყოველგვარ საქონელს როგორც სწრაფს ისე მცირე მოძრაობისას მცხეთა-ქსნის მიმართულებით.

◆ სერგეი აბრამის ძე ნასიძეს გარდაცვალების გამო, ქ-ნ ნ. გაბაშვილისამ გვირგვინის ნაცვლად მის შვილებს გადასცა 200 მ-ს ქართ. ლატარიის ბილეთი.

◆ ქართულმა კლუბმა დაადგინა შეიძინოს 10,000 მან. ქართულ ლატარიის ბილეთი.

◆ **„ესპანიური" ავადმყოფობა.** გუბერნიის კომისარმა შემდეგი დეპეშით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, ახალი ავადმყოფობა ძლიერ გავრცელდა, ავადმყოფთა მსხვერპლი დღეში ასამდე ადის. წამალი არ იშოვება, აქვს მხოლოდ მიმწოდებელ კომიტეტს, რომელიც ჩემს თხოვნას ვერ ასრულებს. გთხოვთ მოახდინოთ განკარგულება რათა მომცეს მიმწოდებელმა კომიტეტმა წამალი, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნები წამალი სხვა ზომებით გამოვიტანო.

◆ კვირას, ნოემბრის 17 ქ გორს მიემგზავრება გამგე დირექტორი ლატარიისა სოლ. ახვლედიანი ადგილობრივ კომიტეტის შესადგენად.

◆ **ტუსაღების შუამდგომლობა.** ტფილისის საგუბერნიო ციხის ტუსაღებმა რიცხვით 96-მა კაცმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წერილობითი შუამდგომლობით მიჰმართეს, რომ ნება მიეცეთ ტუსაღებს შეადგინონ გასაკუთრებული სამხედრო რაზმი, ან და მთავრობამ იგინი რომელიმე ჯარის ნაწილში ჩარიცხოს, რითაც ტუსაღებს საშუალება მიეცემათ „ემსახურონ ახალგაზრდა რესპუბლიკას".

◆ **სოც. დემოკრატიული ყრილობა.** სოციალ-დემოკრატიულმა (მენშევიკთა) მერვე ყრილობამ დაადგინა დაარსდეს ცალკე ორგანიზაცია საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სახელწოდებით. ყრილობამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკთა) ცენტრალურ კომიტეტს, გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, საერთაშორისო პროლეტარიატის ცენტრალურ ორგანოს. და სხვებს.

◆ **საქართველოდან გაძევება.** შინაგან საქმეთა მინისტრმა ხელი მოაწერა გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ნოემბრის 20-მდე საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან გაძევებულ უნდა იქმნენ ის ბოლშევიკი ტუსაღები, რომელნიც საქართველოსადმი მტრულ მოქმედებისათვის არიან დაპატიმრებულნი, რიცხვით 10 კაცი. გაძევებულთ თვითონ ამოირჩიეს ქალაქები: კავკავი, კურსკი და ერევანი.

◆ დღეს, ოთხ საათზე, სიონის საკათედრო ტაძარში მოხდება სახელწოდება ქუთაისის მიტროპოლიტის კათედრაზე ახლად არჩეულ არქიმანდრიტ ნაზარისა. ხვალ კვირას მცხეთის საკრებულოში წირვის შემდეგ ნაზარის აკურთხებენ მიტროპოლიტად.

◆ **უპარტიოთა კრება.** კვირას, ნოემბრის 17-ს. დილის 11 საათზე ახალ კლუბის დარბაზში დანიშნულია დამოუკიდებელთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღიური წესრიგი: 1. კავშირის დებულებათა ახალი პროექტი 2. მიმდინარე საკითხები, 3. საბჭოს წევრთა არჩევნები.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილების ლექტორთა კოლეგია** თხოვნით მიმართავს წევრებს და აგრეთვე იმ პირთ, რომელთაც ქართულად ლექციების კითხვის სურვილი აქვთ (განსაკუთრებით გეოგრაფიასა და იურისპრუდენციაში) დღეს, ნოემბრის 16-ს, სრულს 6 საათზე, გამოცხადდნენ უნივერსიტეტის ცენტრალურ შენობაში (მიხეილის პრ სახლი № 91) ფრიად მნიშვნელოვან საკითხების გასარჩევად პროგრამის შესამუშავებლადა და ლექციების გასაწესრიგებლად. ყველას დასწრება აუცილებლად საჭიროა დანიშნულ დროს, რათა კრება მოთავდეს და ლექტორებს შეძლება მიეცეს სახალხო სახლში დაესწრონ მნიშვნელოვან კრებას მუშათა საბჭოსას.

◆ **ქურდობა.** ნოემბრის 14-ს, ღამით, ქურდებმა გასტეხეს ბარუხ იბრაგიმოვის სამანუფაქტურო დუქანი და მოიპარეს 60,000 მანეთის საქონელი.

◆ **მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კრება.** დღეს საღამოს სახალხო სახლში დანიშნულია ტფილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს კრება, რომელსაც დაესწრებიან ტფილისში ახლად დაარსებულ გერმანელ ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელნიც.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, 17 ნოემბერს დილის 11 საათზე „სახალხო საქმის" რედაქციაში მოხდება მთავარი კომიტეტის სხდომა. ყველა წევრის დასწრება აუცილებელია.

საგუბერნიო კომიტეტის კრება. კვირას, ნოემბრის 17-ს, დილის 11 საათზე დანიშნულია ტფილისის საგუბერნიო კომიტეტის კრება. წევრებს სთხოვენ, აუცილებლად დაესწრონ. სთხოვენ ამხ. გიორგი მაჭარაშვილს ამ კრებას დაესწროს.

—

ტფილისის პოლიტეხნიკუმის სტუდენტთა საყურადღებოდ. კვირას, საღამოს 5 საათზე გაიმართება საარტისტო საზოგადოების მეორე აუდიტორიაში სოციალისტ-ფედერალისტ სტუდენტთა კრება, განსახილველად დიდად მნიშვნელოვან საკითხისა და ვსთხოვთ ყველა ამხანაგს დაესწროს ამ კრებას.

—

კვირას, ამა ნოემბრის 17-ს, საღამოს 6 საათზე პარტიულ დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება კახეთის რკინის გზის სოც.-ფედერ. პარტიის წევრთა—მოსამსახურეთა.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა.

—

საგარეჯო. 1918 წ. ოქტომბრის 29 ს (ახ სტ.) შესდგა საგარეჯოს სოც.-ფედ. სარევოლ. პარტიის წევრთა კრება. იქონიეს მსჯელობა სხვა და სხვა მიმდინარე საკითხებზე და ახალ ორგანიზაციის არჩევნებზე.

ძველი ორგანიზაციის წევრების დაუდევრობის გამო პარტიული საქმეები ძლიერ კოჭლობდა და ამიტომ კრებამ ახალი ორგანიზაციის წევრები აირჩია სამი წევრისაგან შემდგარი, ორის კანდიდატით. კრებამ დაავალა ახლო მომავალში მოიწვიოს ფართო კრება სამხედრო ორგანიზაციის მოსაწყობად. აზრი გამოითქვა, საგარეჯოში მოეწყოს სარაიონო კრება, რისთვისაც საკმაო ძალა არის სხვა და სხვა ახლობელ სოფლებიდან.

ძველი შემოსავალ-გასავალი კრებამ დაამტკიცა, საერთოდ ეტყობა საგარეჯოს კუთხეს შეუძლია ბევრი რამ გააკეთოს რევოლიუციის მონაპოვართა გასამაგრებლად. ჩვენი პარტიული მოქმედება რომ აქამდე ფერხდებოდა, უფრო იმის ბრალი ყოფილა, რომ ყველა წევრები ორგანიზაციისა გაფანტულან და დარჩენილა მარტო თავმჯდომარე ალ. არუთინაშვილი, რომელიც ბევრ სასოფლო საქმეებშია ჩათრეული.

აფეთქების განზრახვა

ნოემბრის 13 აღმოაჩინეს ტფილისის ტრამვაის ცენტრალურ და ტფილისის ელექტრონის სადგურების აფეთქების განზრახვა. საქმე ასე ყოფილა: ერთი მუშა შემთხვევით ამ ორ სადგურის კედლებს შუა ეძებს ჭიანჭველებს თევზებისთვის შენიშნა, რომ მიწაში და კედლებთან რაღაც გძელი არის დაფლული, აგრეთვე კედლებში. [illegible] შეაგდო ცეცხლში და ნახა აფეთქდა, ეს განუცხადა ამხანაგებს. მოახდინეს ჩხრეკა და იპოვეს კიდევ ასაფეთქებლად დამზადებული ყუმბარები და დინამიტი მაშინვე მილიცია მოიწვიეს და ტრამვაიელი გვარდიელები სადარაჯოდ. ნოემბრის 15-14 ღამე 4 საათზე ორი ვიღაც შეიარაღებული კაცი დაეცა დარაჯ გვარდიელს ალექსანდრე ღრუბელაშვილს და დაუწყო სროლა. იგი დასჭრეს ორ ადგილას, ღრუბელაშვილს სხვებიც მიეშველნენ. მაგრამ ბოროტ-გამზრახველმა თავს უშველა. აფეთქება რომ მომხდარიყო ერთსა და იმავე დროს განადგურდებოდა ქალაქის ტრამვაის ცენტრალური ელექტრონის სადგური და აგრეთვე ქალაქის ელექტრონის სადგური.

სამინისტროებში

საკოდიფიკაციო განყოფილებაში.

საკოდიფიკაციო განყოფილების საქმის მწარმოებლად დაინიშნა კერძო ვექილი არტემ ახნაზაროვი, კორექტორად—ი. მამულაიშვილი—გრიშაშვილი, ექსპედიტორად ა. სიხარულიძე.

საპყრობილეთა ინსპექტორის ბინის გადატანა.

საპყრობილეთა ინსპექცია იუსტიციის მინისტრის ამხანაგის გრ. ივ. გველესიანის განკარგულებით ამ დღეებში გადავა იუსტიციის სამინისტროს ბინაზე, სასამართლო უწყების დაწესებულებათა შენობაში.

კრება.

საქართველოს იურიდიულ საზოგადოების გამგეობის კრება დანიშნულია დღეს, შაბათს, ნოემბრის 16-ს, იუსტიციის სამინისტროში, საღამოს 7 საათზე.

სომხები და კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია

ნოემბრის 10-სათვის დანიშნული კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია სამი დღით გადაიდვა.

მიზეზი გადადებისა სომხეთის წარმომადგენელთა გამოუცხადებლობა გახლდათ. სომხეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა აცნობა ჩვენს მთავრობას, თუ რისთვის არ გამოცხადდნენ მათი წარმომადგენლები. მისი სიტყვით ეს მხოლოდ უბრალო ტეხნიკური დაბრკოლებით არის გამოწვეული: ბარათი კონფერენციის მოწვევის შესახებ სა-

---

შეიძლება სიტყვების განმეორება არც ისეთი სფათერაკო იყოს სონეტისთვის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ სონეტის იმ კანონს, რომ „სიტყვების განმეორება სონეტისთვის შეუწყნარებელია!" მაშინ ხომ არც თვითონ უნდა დაერღვია ეს კანონი, რომელსაც ასეთი თავგამოდებით იცავს.

აქ რობაქიძეს ახალი არა უთქვამს-რა, ასეთი კანონი—მართალია—არსებობს! მაგრამ პირადად მე სრულიადაც არა ვარ მისი დოგმატიური დამცველი, ხოლო რობაქიძესთვის კი ასეთი კანონის დარღვევა პირდაპირ შეუწყნარებელია, ეს მაგონებს საწყალ მოლამასრადინას. რომელიც თავისავე ხელით ხერხავდა იმ ტოტს, რომელზედაც თვითონვე იჯდა თოჯინასავით.

ეხლა ოთხი სახის რითმა თუ ორფა რითმა?

ბატონ რობაქიძეს დიდ ცოდვად მიაჩნია „ოთხიანი" რითმა!

აი, რას ამბობს კ. მაყაშვილის სონეტზე: („მზე" 1908 წ. № 3). „**ათ მარცვლოვანი მეტრით ქართული სონეტი ვერ იქნება!** რითმები, მართალია, შეჯვარიდინებულნი არიან, მაგრამ ლექსის პირველი ნახევრის ორს „ოთხიანში" **არ არის ორფა რითმა გაყვანილი! „ობოლი ობოლს ვერას მეტყოდა" მაგონებს „მშობელი შობილს არას მეტყოდაო"** და სხვ. (ხაზი ყველგან ჩემია).

ჯერ ერთი ვინ დააკანონა, რომ „ათმარცვლოვანი მეტრით ქართული სონეტი ვერ იქნება!" რობაქიძე ამ თავის „შეშლილ ხატის" ამბავს არ ასაბუთებს! თავის პირად შეხედულებას, საზოგადო ხასიათს აძლევს, რაც ჯერ კიდევ არავისგან თქმული და გაგონილი!

ან კიდევ: არ შეიძლება მითხრას—სონეტისთვის თოთხმეტ მარცვლოვანი მეტრი რატომ უნდა იყოს ათმარცვლოვანზე სწორი?! კლასიკური სონეტისათვის ხომ ხუთმუხიანი იამბი, ე ი. 11 მარცვლოვანი ტაეპებია სავალდებულო? და თუ რომელი მეტრი უფრო უახლოვდება კლასიკურ სონეტის მეტრს თოთხმეტ მარცვლოვანი თუ ათ მარცვლოვანი,—ორივე უკანონო — ამაზედ თუ გნებავთ სხვა დროს ვიმასლაათოთ!

მეორე—"ობოლი ობოლს ვერას მეტყოდა" მაგონებს—„მშობელი შობილს არას მეტყოდაო!" მე კი გაგონებთ, ბატონო რობაქიძევ, რომ ეს სიტყვის ბანზე აგდებაა და სრულიადაც არ შეეხება სონეტის კანონებზე მსჯელობის საგანს!

მესამე: „ლექსის პირველი ნახევრის ორ ოთხიანში არ არის ორფა რითმა გაყვანილიო!" მახლას! ეს კურთხეულის შვილი, ისე რიხიანად ბრძანებს: „**არ არის ორფა რითმა გაყვანილიო!**" თითქოს ამ გვარი შერითმება, ჩვენი მოგონილი იყოს!

სონეტი ათასგვარია—ათასგვარი კომბინაცია არსებობს რითმებში: ორფა რითმიანიც არის და „ოთხიანიც" და რომ ეს ასეა, გადაიკითხეთ თუ გინდ ჰეინეს ეს სონეტი:

Сонетъ Фонъ-Шлегелю.

Въ нарядѣ съ фижмами, увѣнчана цвѣтами
И съ мушками на разрумяненныхъ щекахъ,
Съ прической громоздкой, покрыта кружевами.
Съ носками острыми, какъ клювъ, на башмакахъ
Наряжена была такъ площадная муза,
Когда она пришла, чтобы тебя обнять,
Но съ ней ты не хотѣлъ заключать союза,
Къ неясной цѣли ты стремился, вновь опять.

და სხვ. (ტერცინები აღარ არი საჭირო). (იხ. ჰეინე, ვეინბერგის გამოცემა ტ. V. გვ. 44)

როგორი რითმაა აქ ბატონო რობაქიძევ: ორფა თუ ოთხიანი? მოღვედილია თუ ჯვარედინი? ჰგავს თუ არა ჩვენი სონეტის აღნაგობა ამ სონეტს?

ასეთივე ფორმის სონეტები, რამდენიც გინდა, **ჰეინეს** კიდევ აქვს.

მაგალითად: „ცხრა ფრესკო სონეტი ქრისტიან ს-ს", „ფრიც ფონ ბეიგემს", „გეორგ ს"., „ტრაგიკომიკური სონეტი".

„ღამე დრახენფელსზედ", „ფრიც შტეინმონს" და სხვ.

იქნება ეს არა კმარა? აიღეთ მთელი თხზულება **ბოდლერისა**: „ბოროტების ყვავილები" რომლის უმეტესი ნაწილი იმ სონეტის ფორმითაა დაწერილი რომელსაც ჩვენ გვიწუნებთ ბატონი რობაქიძევ!..

ამ ყაიდისვე სონეტი, დაწერილი აქვს, ვერლენს, მორის როლინას, ერნესტ რეინოს, ჟერარ დე-ნერვალს, შექსპირს (იხ. „შექსპირი" ბროკგაუზის გამოცემა ტ. V გვ. 416) და კიდევ მრავალზე მრავალ სხვას...

თუ ყველა ეს არ გეყოფა, ბატონო გრიგოლ, მაშინ მივმართოთ, თუ გინდა, თქვენთვის უფრო დიდ ავტორიტეტებს, ე. ი. „ყ ნწელებს." მაგ ჟურნალ „ცისფერ ყანწებში" ვკითხულობთ: ამ გვარ „სონეტს",

„შავგვრემან მიწას ვერცხლის ღიმით უმზერდა მთვარე,
ჰაერს ათბობდნენ სურნელებით თეთრი ვარდები,
ლერწმების შრიალს ყურს უგდებდა ტბა მოელვარე,
საგაზაფხულის ჰიმნს უკრავდნენ ღამის „ბარდები!"
ალისფერ ბაგით შენს ლაწვებზე ლურჯ იებს ვწერდი,
მოცინარ ხელით გაგიხსენი მუნჯი ღილები,
ხავერდის მოლად გაგიშალე ფოლადის მკერდი,
შენ მორცხვად ჩემს ტუჩს დაეკონე განაღიძები,

და სხვ. (ტერცინები აღარ მეინტერესება). (იხ. „ცისფერი ყანწები" № 1).

როგორი რითმაა აქ, ბატონო რობაქიძევ? ორფა თუ ოთხიანი? მოღვედილი თუ ჯვარედინი? ჰგავს თუ არა ეს „სონეტი" ჩვენი „სონეტის" აღნაგობას?

რასაკვირველია, სონეტის ფორმით (არაორფა რითმით) დაწერილი ლექსი ვალერიან გაფრინდაშვილსაც აქვს: (იხ. მისი „დაისი", „თეატრში", შემოდგომის „ქანდაკება" და სხვა) მაგრამ, ვინ იცის შეიძლება რობაქიძის ხათრისთვის ამ პოეტმაც უარჰყოს, ის ანბანური ჭეშმარიტება რომ არა ორფა რითმით აკინძული სონეტი მაინც სონეტია და ეს კი არც ჩემი მოგონილია და არც მისი.

ეხლა რას იტყვით, ბატონო რობაქიძევ ოთხი სახის რითმით აკინძული სონეტი, მაშ სონეტი არ არის რაღა!

ნუ თუ ეხლაც არ დამეთანხმებით, რომ იმგვარივე სონეტი, რომელსაც დღეს თქვენა სწერთ, უკვე „ყანწელებამდე" არსებობდა საქართველოში?

ან-და რა იყო აქ საკამათო?

ყველა ეს თქვენ მიერ დაწუნებული მგოსანი, რომლებმაც გაჰბედეს და არაორფა რითმით აჰკინძეს თავის სონეტი, რასაკვირველია, ჰხელმძღვანელობდა სხვა ენაზე უკვე არსებულ ფორმით და შემდგომ ხომ ქართულადაც გადმოიტანეს, თქვენდა საუბედუროთ!

და, მე ვერ გამიგია, იმ ერთი ლექსისა არ-იყოს: „მაშ რა გინდა, მაშ რა გსურს?"

დასკვნა!? აი ჩემი აზრი—

ასეთ სონეტებს ჩვენც ვწერდით, თქვენც სწერდით, ხოლო თუ ვინ დასწერა ნამდვილი და სწორი „სონეტი საქართველოში", მაშინ ყველა დღემდე დაწერილი სონეტი, როგორც ჩვენი, ისე თქვენი, არ შეიძლება კლასიკურ სონეტებად ჩაითვალოს! **ხოლო ის კი რაც ჩვენში არსებობდა, ეს უთქვენოდაც იყოს!**

დასასრულ კიდევ ერთი სიტყვა:

თუ ვიხელმძღვანელებთ **სონეტის კლასიკურ კანონებით**, რომ ყველა ეს კანონი ქართულ სონეტში უზადოდ და ზედმიწევნით იქმნას შესრულებული—ჯერ ამისთვის კიდევ დიდი შრომაა საჭირო და შეიძლება ყველა ეს ჩვენი სონეტი, მხოლოდ მასალად გამოადგეს იმ მომავალ პოეტს, რომელიც ბრმად კი არ ისარგებლებს რუსულ სონეტით, არამედ შიგნიშიგან შეისწავლის ქართული ენის თვისებებს და შეჰქნის ახალ ქართულ სონეტს კლასიკურ კანონების ძიხედვით!

ჯერ ჯერობით კი ნააღრევია ყოყლოჩინობა!

ჩვენში თქვენს გარეითად მრავალი ლექსის ფორმა არსებობს და არსებობდა! თვით სონეტიც კი ათასნაირი დაბეჭდილა ქართულ ენაზე, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში (—მაგალითად: „კოქლი სონეტი" „პატარა სონეტი" „რთული სონეტი"—რომ ერთი სონეტი შეიძლება წაკითხულ იქმნას სამ სხვა და სხვა სონეტად; ეგრედ წოდებული „სონეტების გვირგვინი", დაიწერა და დაიბეჭდა აგრეთვე ისეთი სონეტი, რომელსაც ტერცინები შუაში აქვს მოქცეული, არის თავდაყირა დაწერილი სონეტი და სხვ —), მაგრამ მის **პირველობაზე** არავის უყვირია როგორც ეს თქვენ მოგდით, ბატონო პოეტო და კრიტიკოსო!

ჩვენში სონეტი კი—ამ სიტყვის კლასიკურ მნიშვნელობით,—ჯერ არ არის ისე უზენაესად გამოკვლეული, როგორც ეს ქართულ ენას შეეფერება.—ამისათვის ჩვენ ყველანი ერთად ვმუშაობთ, ჩვენც ვწერთ, თქვენც სწერთ და ყველანი ერთად ავდივართ ამ კიბეზე, რომლის კენწერომდე ჯერ კიდევ შორსაა ხოლო თუ კიბეზე ასვლის დროს რომელიმე მეტად ერთი საფეხურით მაღლა [illegible] „ხალხო და ჯამაათო! გიცით, რომ პირველი მე ვიყავი და მე ვარო!"

— ეს პეტრობაა! და სწორედ ეს იყო საწყენი ჩემთვის და სწორედ ამაზე მივუთითე ჩემს „სამაინოვაში", ჩემო მეგობარო!

დე, იმან ითქვას ძახილი, დე, იმან დაიტრაბახოს, ვინც მართლა მოქცევა მწვერვალს კენწეროზე და... შექმნის უნაკლულო სონეტს:

ახალ ქართულ სონეტს!

ი. გრიშაშვილი.

ქართველის მთავრობისაგან ნოემბრის პირველ რიცხვში მიიღო. ნოემბრის 8-მდის პირდაპირი მავთული არ მუშაობდა და ამიტომ დეპეშის გაგზავნა ვერ მოახერხა; მან სპეციალური შიკრიკიც გაგზავნა ერევანს, მაგრამ რკინის გზაზე მიმოსვლის მოუწესრიგებლობის გამო ნოემბრის ცხრამდის ისიც ვერ ჩავიდა. ამას მოგვითხრობს ბ-ნი ჯამალიანი. ჩვენ ფორმალურად არავითარი უფლება არ გვაქვს მას არ დაუჯეროთ, მაგრამ, ნათქვამია „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“-ო!

აიღეთ ჰაისტანის ეროვნული საბჭოს ოქტომბრის 26 ოქმი და თქვენ ნათლად დაინახავთ, რომ საქმეს სულ სხვა სარჩული უდევს.

ქაჯაზნუნის განმარტების შემდეგ ქართველ სომეხთა დამოკიდებულების შესახებ, სიტყვას ამბობს მამიკონიანცი და სხვათა შორის აღნიშნავს: „ბატონებო! შემიძლიან მოგილოცოთ, ჩვენი და ქართველების შორის დამოკიდებულება უმჯობესდება; კონფერენცია ამ საკითხის მოსაწესრიგებლად უნდა მოხდეს არა ტფილისში, არამედ საზღვარ გარედ. არბიტრაჟის საკითხი საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმდებიან შეხედულებანი; უნდა გამოირკვეს დაჩქარებით სადემარკაციო ხაზი. ეს საკითხი უფრო დიდ მნიშვნელოვანია, ვიდრე დანარჩენი სხვა საკითხები“.

ამ საკითხზე ბევრი სხვებიც ლაპარაკობენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ეხება იმას, თუ სად უნდა გაიმართოს კონფერენცია. კამათობენ მხოლოდ იმის შესახებ, თუ ვის აქვს კონფერენციაზე წარმომადგენლის დანიშნის უფლება: ეროვნულ საბჭოს, თუ მთავრობას. აქედან ცხადია—როგორც მთავრობისათვის, ისე საბჭოსათვის აშკარაა, რომ კონფერენცია საზღვარ გარედ უნდა გაიმართოს.

უცდიან სომხები საერთაშორისო კონფერენციას, თუ თვით აპირებენ „საზღვარ გარედ“ მის მოწვევას—არ ვიცი.

ყოველ შემთხვევაში ერევნის მთავრობას უფრო გულწრფელობა და სხვა გზის აღება მოეთხოვება, ვიდრე ეს დღეს ეტყობა.

სხვათა შორის საინტერესოა მთავრობის მიერ კარაკლისის და ლორის რაიონებში სამხედრო წესების შემოღების შესახებ ჰაისტანის ეროვნულ საბჭოს შეხედულება. იმავ სხდომაზე ორატორთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ამ რაიონებში სამხედრო წესების შემოღებამ და იქ უპასუხისმგებლო პიროვნებების დანიშვნამ ლამის იყო ომის წინ არ დააყენა ორი მეზობელი ერიი. კამათის დამთავრებისას, საბჭომ ამ საკითხის შესახებ „15“ ხმით „14“ წინააღმდეგ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„მოისმინა რა მინისტრ-პრეზიდენტის განმარტება კარაკლისის, ლორის და დილიჟანის მიდამოებში სამხედრო მმართველობის შემოღების შესახებ ჰაისტანის საბჭომ ჰპოვა იგი შეუწყნარებლად და გადავიდა მორიგ საკითხებზე“.

ამ რეზოლიუციიდან ცხადია, ჰაისტანის საბჭო სავსებით არ იზიარებს მთავრობის ასეთ პოლიტიკას. ამ რეზოლიუციით მან მთავრობის მოქმედება დაჰგმო და უნდობლობაც გამოუცხადა. ალბად ბევრმა ასეთმა რეზოლიუციებმა აიძულა ქაჯაზნუნის კაბინეტი საბჭოს ნოემბრის 4-ს სხდომაზე თავისი გადადგომის შესახებ განცხადება შეეტანა. საბჭომ განცხადება შეიწყნარა: კაბინეტი გადადგა, მაგრამ—ახალი კაბინეტის შედგენა ისევ ქაჯაზნუნს დაავალეს.

აქ ცხადია უბრალო პარლამენტარულ პრინციპიც დარღვეულია, მაგრამ საგულისხმიერო ის არის, რომ თვით ქაჯაზნუნმა უნდობლობის გამოცხადების შემდეგ იდვა თავზედ ახალი კაბინეტის შედგენა.

ს. ჩომახიძე.

საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობა

შეერთებულმა კრებამ ქუთაისის ქართველ ექიმთა კავშირისა და ტფილისის ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა, რომელიც მოხდა ოქტომბრის 21 ს, გადასწყვიტა მოიწვიოს მიმდინარე წლის დეკემბრის 23 საქართველოს ექიმთა და ბუნებისმეტყველთა ყრილობა შემდეგის პროგრამით:

1. საქართველოს პარლამენტის საექიმო-სასანიტარო კომისიის, კანონპროექტი და მნიშვნელობა.

2. მალარია, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.

3. ტუბერკულოზი, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.

4, ვენერიული სენი, მისი გავრცელება და ზომები მის წინააღმდეგ.

5. ალკოჰოლიზმი საქართველოში და ზომები მის გავრცელების წინააღმდეგ.

6. ბავშვთა ავადმყოფობა და სიკვდილი საქართველოში“.

7. სამკურნალო დახმარების მოწყობა-მოწესრიგება საქართველოში.

8. ეხლანდელი სანიტარული მდგომარეობა საქართველოს ქალაქებისა და ზომები მის გასაუმჯობესებლად.

9. სოფლის სანიტარული და სამკურნალო საჭიროებანი და გეგმა მათი მოწყობისა უცხოეთის მაგალითების მიხედვით.

10. სამრეწველო ჰიგიენა.

11. სამრეწველო კანონმდებლობა.

12. სასკოლო ჰიგიენა.

13. „ზაურიად“ ექიმთა საკითხი.

14. ექიმის უფლებრივი მდგომარეობა რესპუბლიკაში.

15. ექიმთა თანაშემწეების უფლებრივი მდგომარეობა და მათთან ურთიერთ დამოკიდებულება.

16. საექიმო და ჰიგიენის ცოდნის პოპულარიზაცია ხალხში.

17. მედიკო-ტოპოგრაფიული აღწერა საქართველოსი და მისი სხვა და სხვა კუთხეებისა.

18. სააფთიაქო საქმის მოწყობა საქართველოში და საიფთიაქო კანონმდებლობა.

19. კბილის ავადმყოფობათა გავრცელება საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

20 საქართველოში არსებულ სამკურნალო დაწესებულებათა დახასიათება და მათი რეორგანიზაცია (მიხეილის საავადმყოფო, საბებიო ინსტიტუტი, პასტერის სადგური, სამხედრო ჰოსპიტალი, სამკურნალოები ქალაქად და სოფლად).

21. სამკურნალო და სასანიტარო სახელმწიფო ბიუჯეტი.

22. სამკურნალო სტატისტიკის საქმის მოწყობა საქართველოში.

23. საკურორტო საქმე საქართველოში.

ა) მეცნიერული შესწავლა ამ საქმისა

ბ) საკურორტო საქმის განვითარება საქართველოში.

გ) ფინანსიური მხარე საკურორტო საქმისა.

დ) აღწერა საკურორტო ადგილებისა, მინერალური წყლებისა და სამკურნალო ტალახებისა.

ე) საქართველოს კლიმატოლოგია.

24. ომში დასახიჩრებულთათვის შემწეობის მოწყობა.

25. ახალგაზრდა დამნაშავეთათვის თავშესაფარი.

26 სულით ავადმყოფთა თავშესაფარი.

27. ქორწინების გარეშე შობილთა თავშესაფარი.

განმარტება. 1. ყრილობის წევრად ითვლებიან ექიმები, ბუნებისმეტყველნი, კბილის ექიმები, ფარმაცევტები და აგრეთვე ფერშლები, უკანასკნელთ ექნებათ გადამწყვეტი ხმა მხოლოდ იმ კითხვებში, რომელიც მათ შეეხებათ.

2. ვისაც სურს მოხსენების წაკითხვა, საჭიროა მოხსენების სათაური და უმთავრესი თეზისები მოხსენებისა წინასწარ აცნობოს არა უგვიანეს დეკემბრის 12 საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, ექ. ვირსალაძეს (მიხეილის ქუჩა № 56) ან მდივანს ამავე კომიტეტისა, ექ. მიქელაძეს (მიხეილის ქუჩა № 117). ამავე პირებისგან მსურველთ შეუძლიათ მიიღონ ყოველგვარი ცნობები ყრილობის შესახებ.

მდივანი ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებისა, ექ. მ. წინამძღვრიშვილი.

მოწოდება

მოქალაქენო! ეხლა, როდესაც სახელმწიფოებრივი ცხოვრება წესიერ კალაპოტში დგება, როდესაც ჩვენ თავისუფლად ვიწყებთ სუნთქვას, და ჩვენს ფიზიკურ არსებობას საფრთხე აღარ მოელის, საჭიროა კულტურულ განვითარებაზე ფიქრი, რათა დემოკრატიული საქართველო, და მასში მოსახლე ერები სწრაფი ნაბიჯით წავიდნენ წინ, რომ კულტურულ ევროპას ამოუდგეთ გვერში

ქართული სამუსიკო საზოგადოებას აქვს-რა სურვილი დაეხმაროს საზოგადოებას კულტურულ და გონივრულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, მოგიწოდებთ თქვენ, მოქალაქენო, ფართო თვითმოქმედებისათვის და სამუსიკო საზოგადოების დახმარებისათვის.

მუსიკაში არ არის, არც ებრაელი, არც ელლინი.

მუსიკა უაღრესად ინტერნაციონალური შემოქმედებაა ადამიანის სულისა, და აი, ამისათვის ყოველივე მოქალაქე, რომელი ეროვნებისაც უნდა იყვეს, ჰპოვებს ქართულ სამუსიკო საზოგადოებაში გულმხურვალებას და ფართო დახმარებას.

საზოგადოებას განზრახული აქვს გააბას მთელი ქსელი სამუსიკო სკოლებისა, სადაც მოსწავლე თაობას შეეძლება მიიღოს სამუსიკო განათლება სულ მცირე ფასად.

საზოგადოებამ გახსნა და განზრახვა აქვს გააფართოვოს დალკროზის ინსტიტუტის განყოფილება, სადაც ბავშვები ვითარდებიან ფიზიკურად და სულიერად.

საზოგადოება ეცდება, შეძლების დაგვარად, დააკმაყოფილოს სამუსიკო მოთხოვნილება ფართო საზოგადოებრივ მასისა, რისთვისაც უკვე მოაწყო კვარტეტი, ეწყობა ხორო, საოპერო სტუდია, გაიმართება ლექციები, გროვდება ქართული სიმღერები დასამუშავებლად და სხვა.

ხოლო ეხლა საზოგადოება პატარაა და მისი ქონება ძალიან მცირეა.

მოქალაქენო, ჩაეწერენით საზოგადოების წევრებად, შეიტანეთ თქვენი წვლილი მოქმედება და ყურადღება.

მხოლოდ მარტო საზოგადოების თვითმოქმედებით შეიძლება მივაღწიოთ სასურველ შედეგებს, მხოლოდ ამ გზით ჩვენ აღვზრდით შეგნებულ და კულტურულ შვილებს დემოკრატიისას.

წევრების ჩაწერა და შემოწირულება, მიღება ქართულ სამუსიკო საზოგადოების გამგეობის შენობაში: სლეპცოვის ქუჩა, № 4, 11—2 ს. და 5—7 საათამდე.

ქართული სამუსიკო საზოგადოების გამგეობა.

მცირე შენიშვნა

ამას წინად გაზეთ „სახალხო საქმეში“ მოკლედ დავახასიათეთ ბ-ნ იოსებ კვარაცხელიას მოქმედების როლი დ. წალენჯიხის ბოლშევიკურ ამბოხებაში. სამწუხაროდ; მიუხედავად იმ მძიმე ბრალდებებისა, რომელიც მე მას წამოუყენე და ნაცვლად ამისა, რომ ის პასუხისგებაში მიეცათ, მიუციათ საპასუხისმგებლო ადგილი: წალენჯიხის რაიონის კომისრობა. საინტერესოა ვიცოდეთ, ვინ დანიშნა ეს ვაჟბატონი ამ საპასუხისმგებლო ადგილზე? საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მთავრობამ ამ გარემოებას და დანამდვილებით გამოიძიოს ზემოხსენებულ პიროვნების წარსული მოღვაწეობა.

ტ. წალენჯიხელი.

უკანასკნელი მოწოდება

მე მოგახსენებთ ახალგაზდა სოციალ-ფედერალისტთა სამკითხველოზე, ამ სამკითხველოს ერთი წლის არსებობა უკვე იწურება.

ამ სამკითხველოს გახსნას დიდი სიხარულით შეხვდა ყველა ჩვენი ამხანაგი; ბევრმა მათგანმა „ფურცელიც“ წაიღო შემოწირულებათა შესაგროვებლად, მაგრამ დაბრუნებით კი... ანგარიში მხოლოდ 15 ამხანაგმა ჩაგვაბარა!

სამკითხველომ 1000 მანეთამდე ღირებული წიგნები შეიძინა! აქ, დღეს, 1500 წიგნია, რომლით სარგებლობაც ყველა ამხანაგს შეუძლია.

მხოლოდ საჭიროა მეტი ყურადღება: წაღებული წიგნების დაბრუნება, შემოწირულებათა გადაცემა (ზოგი ერთ ამხანაგს შეგროვილი ფული არ გადმოუცია!), წიგნების დროზე გამოცვლა და სხვა. საჭიროა ყოველივე ღონე ვიღონოთ, რომ სამკითხველომ თავის დანიშნულება შეასრულოს!

აუცილებლად ყველამ უნდა შემოიტანოს საწევრო გადასახადი!.. ყველამ უნდა გაუწიოს დახმარება ასეთ დაწესებულებას! დასასრულ: მაინტერესებს იმ წიგნების ბედი, რომელიც ამხანაგებმა რუსეთიდან ჩამოიტანეს სად წაიღე? (ბრძოლის ველზე ვიყავ, არ ვიცი...).

მეტი ყურადღება სამკითხველოს!

მეტი წიგნები ჩვენს სამკითხველოს, ჩვენს ახალგაზრდობას!..

სევ პ ძე.

მოწერილი ამბები

ს. საგარეჯო. სიძვირე ძლიერის ფეხით არის მოკიდებული საგარეჯოში. უფრო იაფად იშოვით სანოვაგეს ტფილისში, ვიდრე აქ. ყველაფერი გააქვთ სადგურზე ოთხი ვერსის მოშორებით. სადგურზე კი დიდ ფასებში ჰყიდიან და ადგილობრივ ბაზარზე ვერას იშოვით. ბაზარზე ორმოცზე მეტი სამიკიტნოა, სადაც ბევრი უწესოება ხდება. კარგია, მთავრობა ადგილობრივი ყურადღებას მიაქცევდეს.

სარაიონო კომისარიატი აქ გადმოიტანეს, რისიც დიდი იმედი აქვთ მცხოვრებლებს.

ტელეგრაფმა დაიწყო მოქმედება. ტელეფონი იმართება. ავადმყოფობა ძლიერია, მოედო ესპანიური აქაც, მაგრამ დიდისენ ცრგიით ჰკურნავს ექიმი ანტონ ფაღიაშვილი რისთვისაც დიდი მადლობის ღირსია.

ლტოლვილები ჯავახეთიდან აქაც გვესტუმრნენ, ყველა დახმარებას უწევს. ხალხმა ჯავახელ ძმებს აგრძნობინა ქართული სიყვარული.

დრამატიულ საზოგადოებაში ახალი არჩევნები მოხდა. სამი ჩვენი ამხანაგი აირჩიეს დრამატიული საზოგადოების და თეატრის დაარსებაში დიდი შრომა მიუძღვით ძველ გამგეობის წევრთ. მხოლოდ ბოლო წლებში ვერ წაუყვანიათ საქმე რიგზე, როგორც თვით აღიარეს ეს კრებაზე მიზეზი ყოფილა სხვა და სხვა სასოფლო საქმეებში მუშაობა.

შუბი.

გამომცემელი

ხასხონ ფირცხალავა.

რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ლივიტანოვის დიპლომი

ვასწავლი ყოველგვარ ჭრა-კერვას როგორც ქალისას ისე კაცისას და ბავშვებისას. მრავალ ფეროვან ნაქარგს, „გლადი“, ნარღვევი, და სხვა. ამასთანავე **ვიღებ შეკვეთილებს:** კაბებს, პალტოებს თეთრეულს; კაცის ტანისამოსს: ჩერქეზულ, იმერულს და გურულს. ვასრულებ სინდისიერად და ხელმისაწდომ ფასად.

გორის ქუჩა, № 18. 2278

ექიმი დ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87 ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

ექიმი ი. ი. [illegible]. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფები დილით 9—12 ს. და საღამოთი 6—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნიცას“ პირდაპირ № 8. 301

ექიმი ბ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 5.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ნიკოლოზ ბახტაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრონიზაცია და [illegible] [illegible] ქ. № 11. 2245

ექიმი ს. დ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—6 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საჭმლის [illegible] და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლაზის ქუჩა № 7. სიონთან [illegible] 903

ექიმი ბ. ა. აბაკელია შინაგანი ავადმყოფობა, განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა: ფილტვების, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ქლექისა სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. [illegible] ქ. № 26. ტელ. 5—86. 270

ექიმი ქალი რ. ბ. [illegible] მედიცინის-ქირურგიის [illegible] ნევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საზ...ით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე მიხაილოვის პრ. სახლი № 119. ტელ. 9—26. 2306

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეთის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის **ა. ლევანიშვილისა** მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ქარებისა მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა

ბ. ბ. მებრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალვარსანი და არსენიკის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 1340

თვალის სამკურნალო, მუდმივი ასისტ. ექიმ დონზინსკი

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები [illegible] პანსიონითაც მიიღებიან. 839

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები.

გ. მ. რეხვიაშვილი—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (გოლის) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბავშვო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ს. ბ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 6, ვეზირხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—88.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმ ნაგახარდიანის კერძო ვიკ. სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს).

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ა. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ბ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. აგზიტიხიანი—კანისა და ვენერიული ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. [illegible]: 10—12 ს. ყურის, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. აგზიტიხიანი—11—12 ს. საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ა. ი. [illegible], 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგეობით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.

პოლიტიკური და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს. თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 180, ტელეფონი 12—29.